№ 251. პარასკევი, 11 ივლისი, 1896—1897 პარასკევი, 11 ივლისი, № 251.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

თავ. მელიტონ გლახას ძე მიქელაძე შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ-რა გარდაცვალებასა პირველი საყვარელის მეუღლისას და მეორენი ძვირფასის დედისა

კნეინა მეტია მიქელაძისას,

(დაბადებით თავადის ასული მიქაძისა)

სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა, მობრძანდნენ განსვენებულის დაკრძალვაზედ **შაბათს, 12 ივლისს, დილის 10 საათზე, სოფ. წიღორში.**

პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად ყოველ დღე.

(3—3)

რუსულ-ქართული
ლექსიკონი
თ. სახოკიასი
ფასი ერთი აბაზი
ისყიდება საქართველოს ყველა ქალაქებსა და დაბებში.
(8—5)

Ресторанъ и Гостиница „ПУРЪГВИНО“ Головинскій, д. кн. Багратіон-Мухранскаго.

სასტუმრო და რესტორანი
„პურ-ღვინო“

Ресторанъ и Гостиница „ПУРЪ-ГВИНО“ Головинскіи, д. кн. Багратіон-Мухранскаго.

გოლოვინის პროსპექტი, მუხრან-ბატონის სახლებში, კლუბის ქვეშ.

მეგობრული მასლაათი

— გამარჯვება შენი! კაცო, რამ გაგასუქა ასე? ნეტა რასა სჭამ?

— საქმეც ეგ არის და! ვჭამ და ვსვამ, რაც-კი საუკეთესო რამ არის ტფილისში: სუფთა, გემრიელი და ხოყიერი საჭმელი, სასმელი გრილი და საუცხოვო, მოსამსახურე მარდი და ზრდილობიანი, ჰავა მშვენიერი, მოწყობილობა საგანგებო და მასპინძელი იმისთანაა, რომ სულში ჩაისვამ, მუდამ მხიარული, გულ-გაშლილი და თავაზიანი!,. აბა, რა თქმა უნდა, რომ ამისთანა საჭმელ-სასმელი ხორცსაც შეერგება და სულსაც ამებს!..

— მერე სად გიპოვნია ესეთი სამოთხე?

— სამოთხე-კი არა, მაგრამ სასიამოვნო ბევრია: მე „პურ-ღვინოზე“ მოგახსენებ...

— ალბად საშინელი სიძვირე იქნება!..

— რის სიძვირე, რას ბრძანებ? აბა ქვემოდ ჩაათვალიერე და თვით დარწმუნდი, არის სადმე ტფილისში ისეთი სიიაფე საჭმელ-სასმელებისა, როგორც „პურ-ღვინოში“?

ნიხრი სადილებისა:

4 კერძი სადილი, არაყი, ნახევარი ბოთლი ღვინო (ანუ ერთი ბოთლი ლუდი), ფინჯანი ყავა	1 მან.
3 კერძი სადილი, არაყი, ნახევარი ბოთლი ღვინო (ანუ ერთი ბოთლი ლუდი), ფინჯანი ყავა	80 კაპ.
2 კერძი სადილი, არაყი, ნახევარი ბოთლი ღვინო (ანუ ერთი ბოთლი ლუდი), ფინჯანი ყავა	60 კაპ.
2 კერძი სადილი, არაყი, 1 ბაკალი ღვინო (ანუ კრუშკა ლუდი)	40 კაპ.

ნიხრი სასმელებისა:

1 რუმკა არაყი სმირნოვისა, შტრიტერისა, პოპოვისა და სარაჯიშვილისა	5 კაპ.
1 რუმკა კონიაკი, ზუბროვკა, მწარე ინგლისური და ჰაჰისა	10 კაპ.
1 ბაკალი ღვინო 5 კაპ., ერთი კრუშკა ლუდი	5 კაპ.

1 ბოთლი ღვინო „კახეთის“ ამხანაგობისა 40 კაპ.-დან, ნახევარი ბოთლი 20 კაპ.-დან, მუხრან-ბატონისა 40 კაპ.-დან. ჯორჯაძისა 35 კაპ.-დან, თავ. გ. ჭავჭავაძისა 30 კაპ.-დან, ნახევარი ბოთლი 15 კაპ.-დან;

ლუდი ვეტცელისა ბოთლი 15 კაპ., ბოვარიის კვასი ბოთლი 15 კაპ., ლიმონადი, გრუშოვი, სოდოვოი, სიფონი და სხვა ბოთლი 10 კაპ.;

ჩაი და რძე 5 კ. სტაქანი. ყავა სტაქანი 10 კაპ.

◆◆ სამზარეულო საგანგებო, ხორაგი ახალი. ◆◆

საჭმლები ევროპიული და ადგილობრივი (ყოველ დღე ღამე)

!!ფასი ყველაფერზე ზომიერი, სისუფთავე და წეს-რიგი საგანგებო!!

იქვე ცალკე დარბაზში გამართულია 5 ფრეიბერგის ბილიარდები—ფასი საათში 30 კაპ.

ნარდი და ჭადრაკი საათში დღისით 15 კაპ. ღამით 20 კაპ.

→ სასტუმროში არის მრავალი მორთული და მოწყობილი ოთახები ←

ფასი თვითო ნომრისა დღე-ღამეში, 40 კაპ.—1 მ. 50 კაპ—მდე, თვეობით 10—30 მანათამდე. „პურ-ღვინოს“ უპირველესი სურვილი და წადილი არის: სიწმინდე, თავაზიანობა და პატივისცემა.

დავშთები საზოგადოების მარად პატივისმცემელი **იაგორ მამინაიშვილი.**

(32—2)

თავ. ალექსანდრე გიორგის ძე მაჭუტაძე

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1-ლ ივლისიდან

გაჰმართა საკუთარის ტყისაგან

შეშის სავაჭრო საწყობი

ქ. ტფილისში, კოგზალის მახლობლად, ქალაქის სადეზინფექციო კამერასთან.

→ შეშა დიდ-მალია კარვის თვისებისა რცხილისა და კოპიტისაგან ←

ფასები საგანგებოდ იაფია

მსურველთ შეუძლიანთ მთელის წლობით იქონიონ ერთისა და იმავე ღირსების შეშა. დიდძალი შეშა იყიდება აგრეთვე შეშის მოვაჭრეებზე ვაგონებით.

უმთავრესი კანტორა საწყობთან არის

Дровяной складъ кн. А. Г. Мачутадзе. (10—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათსაათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდნევა 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. ზუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. ზუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ზ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ზ თოფურია.** საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ქ. ზერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. არშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ზ. თოფურია.**

(წ.)

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.

„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“

9 ივლისი.

პარიჟი. გერცის წერილმა პანამის საქმის კომისიის მიმართ, რომელიც დაბეჭდილი იყო გაზეთ „ტიმეს“-ში და რომლითაც გერცი ახალს პირობებს უდებს კომისიას მისის მიღების დროს, ბურბონის სასახლის კორიდორებში დიდი აურ-ზაური გამოიწვია. ეს ამბავი ძლიერ ცუდია კომისიისათვის, რომელიც თვისის პრეზიდენტითურთ უკვე ლონდონში წავიდა.

პარიჟი. პალატამ, 518 ხმის უმეტესობით, წინაამდეგ 18-სა, შეიწყნარა 7 მილიონის კრედიტი, რომელიც გადადებულ იქმნება გემის შეკეთებისათვის და სადგურ ბიზერტას გასამაგრებლად.

კანდია. აჯანყებულთა მოთავეებმა შეატყობინეს ადმირალებს, რომ სარევოლიუციო კრება შევადგინეთო. ადმირალებმა უპასუხეს, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან ოფიციალურად შევიწყნაროთ სარევოლიუციო კრების არსებობაო, ხოლო, თუ საჭიროება მოითხოვს, ძლიერ სასიამოვნოთ დაგვრჩება საქმე ვიქონიოთ ერის წარმომადგენელ კრებასთანაო. ადმირალებმა კრებას ურჩიეს, სრულებით მოსპეთ ყოველ გვარი საომარი მოქმედებაო. ასეთივე რჩევა მისცეს ადმირალებმა ოსმალეთის მთავრობას.

კონსტანტინეპოლი. ოსმალეთი არ დაჰყაბულდა იმ საზღვრების დადებაზედ, რომელიც უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს. თევთიქ ფაშასა და ელჩებ შორის მოლაპარაკება მოისპო. თევთიქ-ფაშა იმას ამბობს, თურმე, რომ მორიგება მაინც მოხდებაო. დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ეს ამბავი მისწერეს თვისის სახელმწიფოს კაბინეტებს და ეხლა ამ საქმის გადაწყვეტა იმათ ხელშია.

კონსტანტინეპოლი. მინისტრთა კრება, როგორც ამბობენ, დასთანხმდა იმ საზღვარის დადებაზედ, რომელიც დიდმა სახელმწიფოებმა გადასწყვიტეს. ელჩები ამ გარდაწყვეტილების დამტკიცების შემდეგ ისევ მოლაპარაკებას შეუდგებიან.

პარიჟი. დეპუტატთა პალატაში და სენატში წაკითხულ იქმნა დეკრეტები, რომლის ბრძანებით პარლამენტის სესსია გათავდა.

კანონი და მთავრობის განკარგულება.

სამხედრო დაწესებულებაში. კბილმათ პოდპორუჩიკობა 78 ქვეითი ნავაგინის პოლკის აფიცრებს: მურვანიშვილსა და დარასელიას.

ახალი ამბავი

⁂ **საჭიროებანი ჩვენის ქვეყნისა.** არ ახალია ამ საგანზედ საუბარი მკითხველთან, მაგრამ ახალ-ამბების უკან დევნითაც ვერას შევიძენთ, პირზე დ ვარამზედ ჩვენის ქვეყნისა უნდა ბევრი ითქვას, ბევრი დაიწეროს, რომ საკუთარი ჩვენი სენი სავსებით შევიგნოთ; ხოლო, ოდეს შევიგნებთ სენს, წამლის გამოძებნაში მეტს შნოსა და უნარს გამოვიჩენთ. თუ გნებავთ, ახალ ამბათაც უნდა ჩაითვა-

ლოს ის გარემოება, რომ ერთმა დიდმა სატახტო ქალაქის გაზეთმა, ორგანომ თავად. უხტომსკისამ, „ს.-პეტერბურღის უწყებებმა“ აღამაღლეს ხმა ჩვენის ქვეყნის ჭირ-ვარამზედ.

გაზეთის სიტყვით, დიდი ხანია ყველას კარგად მოეხსენება, რომ ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი ჩვენის ქვეყნის ეკონომიურად დაცემისა არის უმამულობა, ანუ მამულების სიმცირე. ეს უმამულობა სჩაგრავს არა მარტო გლეხკაცობას, არამედ კეთილშობილთა უმრავლესობასაც. ამის დასამტკიცებლად საკმარისია გავიხსენოთ, რა დამოკიდებულება არსებობს კავკასიის მკვიდრთა რიცხვსა და მამულების რაოდენობის შორის. ქუთაისის გუბერნიაში, მაგალითებრ, ორთა-შუა რიცხვით კაცის თავს მოდის 3,7 დესეტინა მამული, განჯის გუბერნიაში—4, 25 დეს. ზაქათლიოლქში—4, 9 დეს., ტფილისის გუბერნიაში—5,8 დეს.

მერე ამ რიცხვში განა სულ გამოსადეგი ადგილ-მამულია? აქ საერთოდ არის ნაანგარიშევი. შიგ არის მოქცეული მთაც, კლდეც, ღრეც, გზებიც. ესენი რომ გამოვაკლოთ, გამოსადეგი მიწა მოვა თვითო კაცზედ იმის ნახევარზედ თუ ნაკლები არა, ალარც მეტი, რაც ზევით ვიანგარიშეთ. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს სასტატისტიკო ცნობები შეკრებილია 1890 წელს; მას შემდეგ გარემოება იცვალა და დღეს თვითოეულს კაცზედ უფრო ნაკლები უნდა ვიანგარიშოთ.

1½ მილლიონი დესეტინა მამული ითვლება სულ ამიერ კავკასიაში. აქედამ 72 ნაწილი უჭირავთ გლეხებს, დანარჩენი 28 ნაწილი შეადგენს საუფლის წულოსა და სხვა კერძო კუთვნილებას. თავად აზნაურთა მამული ისე დანაწილდა და დაქუცმაცდა, რომ ბევრს მათგანს დღეს 4-10 დესეტინაზედ მეტი მამული არ გააჩნია. გლეხთა „ნადელები“-ც ძალიან მცირეა. ტფილისის გუბერნიაში, მაგალითებრ, ზოგიერთს სოფლებში „ნადელი“ კომლის თავს შეადგენს ერთს დესეტინაზედ ნაკლებს, სხვაგან 3 დესეტინას. ქუთაისის გუბერნიაში „ნადელი“ არ აღემატება 3 დესეტ. უფრო ცუდია მდგომარეობა „დროებით ვალდებულთა“ გლეხთა. უარესს მდგომარეობაში იმყოფებიან სახელმწიფო გლეხნიც. ადგილობრივმა გამგეობამ სახელმწიფო ქონებისამ კაცის თავს კი არა, არამედ სასოფლოდ აუზომა მიწები: ერთმანეთში როგორც გინდათ, ისე მორიგდითო.

ასეთს სოფლებში კომლეურად მოსდით: სარწყავ ადგილებში 15 დესეტ., ურწყავსა და უნაყოფო ადგილებში 24--30 დესეტ. ამოდენი მამული კომლზედ თითქოს საკმარისად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ საქმით სხვას ვხედავთ. ადგილობრივმა გამგეობამ სახელმწ. მამულებისამ ყოველი საცდელი იხმარა, რომ რაც-კი ნაყოფიერი და გამოსავლიანი ადგილებია თავისთვის დაერჩინა იჯარით გასაცემათ, ხოლო რაც გამოუსავლიანი და ხრიოკი ადგილებია, ისინი დაურიგა გლეხებს 30-ათ-ათი დესეტინა. მაგრამ ასეთს უდაბნო ადგილს ბევრს ვერას გამოარჩება კაცი, თუნდ 100 დესეტინაც მისცეთ.

ამ რიგად საუკეთესო სახელმწიფო მამულები იჯარით გაიცემიან ხოლმე, მაგრამ მაგარი დასავლელი ის არის, თუ ვინა ბძანდებიან მოიჯარადრენი ასეთის მამულებისა. ესენი არიან ჩარჩები, ვაჭრები, რომელთაც სიზმარშიაც არ მოსჩვენებიათ, თუ რა არის შემუშავება მამულისა, შრომა მაზედ, რა არის მოყვანა საზრდო-საბადებლისა. ესენი ჩარჩები არიან, ესენი იღებენ იჯარას იმისთვის, რომ მერე გლეხებზედ ნაწილ-ნაწილ გასცეს იჯარით თავის მხრივ და ფული მოიგოს. ამ რიგად ჩარჩები იღებენ 4—5 მეტს, ვიდრე თვითონ მიუციათ ხაზინისთვის. ბევრსა ჩვიან საცოდავი გლეხები ამგვარს უსამართლობაზედ, მაგრამ ჯერ-ჯერობით არა გამოდის-რა მათის ჩივილიდამ. უკანასკნელ ხანებში მთავრობამ ათხოვა ყური ამ სამართლიანს დტრვინვას ხალხისას და შეუდგა ამ საგნის წესიერებაში მოყვანას. ვნახოთ, რა წამალს დასდებენ ამ არსებითს საჭიროებას გლეხობისას.

მაგრამ განა მარტო უმამულობაა ჩვენი ქვეყნის გამანადგურებელი და ეკონომიურად დამჩაგვრელი? უმამულობას თქვენი ჭირი წაუღია, იქნება ამას როგორმე გაუძლებდა კაცი, მაგრამ რას უზამთ „ჩარჩობას“, რომელმაც მოწველა, შეჭამა, შთანთქა ჩვენი ქვეყანა.

*** **კეთილი მაგალითი.** ჩვენს მკითხველებს მოეხსენება, რომ საქართველოს საეპარქიო სასწავლებელთა საბჭომ წელს გამართა ტფილისში პედაგოგიური კურსები სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის. რაოდენი ცდა და პატიოსანი შრომა დასდო მოხსენებულმა საბჭომ, რათა აღნიშნული კურსები ჯეროვანად მოეწყო, მეტი ნაყოფიერება მიეცა, სჩანს იქიდამ, რომ საბჭომ არ იკმარა თავისი საკუთარი ძალ-ღონე და გამოცდილება, არამედ საჭიროდ სცნო, მოეწვია, ეგზარხოსის ნება დართვით, ამ საქმეში დასახმარებლად გარეშე პირნიც, ცნობილნი ჩვენში პედაგოგიურის შრომით და სწავლა-განათლების საქმის ზედ მიწევნით ცოდნით და დიდის ხნის პრაქტიკით ამ საქმეში.

მიწვევის ქაღალდი მიიღო საბჭოსაგან აგრეთვე ჩვენმა პედაგოგმა პატივცემულმა იაკობ სვიმონის-ძე გოგებაშვილმაც, რომელიც უკვე დაესწრო საბჭოს თათბირს და მიიღო მონაწილეობა პროგრამმის შემუშავებაში.

*** **ზომები საქონლის ჭირის წინააღმდეგ ტფილისში.** საგუბერნიო მმართველობას განკარგულება მოუხდენია, რომ დაუყოვნებლივ სასტიკი ზომები მიიღონ საქონლის ჭირის წინააღმდეგ, რისთვისაც მტკვრის მარცხენა მხარე ჩაუბარებიათ შეინფოგელისათვის, მარჯვენა მხარე ქალაქის გამგეობისათვის მიუცია წინადადება, რომ თვით ქალაქმა დანიშნოს ბეითალი, ხოლო სავაჭროდ მორეკილი საქონლის გასინჯვა მიანდო ბ. შიო დედაბრიშვილს, რის გამო იგი გამიწერეს ს. საგარეჯოდგან, რადგანაც საქონლის ჭირი იქ უკვე ბ-ნ დედაბრიშვილს გაუნელებია.

*** **საჯარო ბიბლიოთეკაში კითხვის შეჩერება.** საჯარო ბიბლიოთეკა დაიკეტება მკითხველებისთვის 15 ივლისიდგან 15 აგვისტომდე, რადგან უნდა გასუფთავდეს წიგნები და შეკეთდეს შენობა. (გაზ. «კავკაზ.»)

*** **მეცხვარეების ბანკი.** სამხრეთ რუსეთის მეცხვარეები დიდი ხანია ცდილობდნენ, რომ როგორმე მოეპოვათ კრედიტი სახელმწიფო ან კერძო ბანკებში, მაგრამ მათი მეცადინეობა აქამდის ამაოდ რჩებოდა. ეხლა, როგორც სატახტო გაზეთები გვატყობინებენ, ცხვრების პატრონებმა განიზრახეს დააარსონ თავის საკუთარი ბანკი, რომელიც მათ საჭიროებას დააკმაყოფილებსო. ამ ბანკის წესდება უკვე შემუშავებულია და მალე წარსდგება მართველობასთან დასამტკიცებლად. ძირითადი თანხა განკისა 3 მილლიონი მანათი უნდა იყოსო.

*** **„კრებული სასტატიკო ცნობისა რუსეთში“.** მოკლე ხანში გამოვა საყურადღებო, სასარგებლო „კრებული სასტატისტიკო ცნობათა რუსეთში“. ამ კრებულში მოთავსებული იქნება ყველა სტატისტიკური ცნობები რუსეთში მცხოვრებლებისა, მათის ეკონომიურის მდგომარეობისა და სხვ. კრებულს კომიტეტი ჰბეჭდავს დრო გამოშვებით, ყოველ წელიწადში ერთხელ.

*** **ახალი ქართული მოთხრობა.** ჩვენ შევიტყეთ, რომ ჩვენს ნიჭიერს ბელეტრისტს, ნ. მელანიას (ფსევდონიმი), „ბნელოს“ ავტორს, ახალი დიდი მოთხრობა დაუწერია. მოთხრობა გლეხ-კაცის ცხოვრებიდანაა და შიგ აღწერილია ის ფაქტი, თუ რა მანქანებით გადადის ჩვენის სოფლის მცხოვრების სარჩო-საბადებელი ჩარჩ-წურბელა ვაჭრის ხელში. მოთხრობა დამთავრებულია, თეთრად გადაწერა-ღა აკლია. პირველად ჟურნალ „მოამბეში“ დაიბეჭდება.

*** **პრემიით დაჯილდოვებული წიგნი.** „წერა-კითხვის“ საზოგადოებამ როგორ გააიაფა თავის პრემია და ხშირად რა უვარგისს წიგნებს აჯილდოვებს, სჩანს შემდეგის ჩინებულის ცნობიდგან. გიორგი წერეთლის მოთხრობა, „რუხი მგელი“, რომელსაც ამ საზოგადოებამ პრემია არგუნა, წარსულსს წლის განმავლობაში გაყიდულა,—აბა გამოიცანით რამდენი,—ხუთი ცალი... და მუქთად დაურიგებიათ 24-ი. ნეტავი შაგვატყობინა, რომელ საუკუნეში გაიყიდება მთელი გამოცემა?!.

*** **ახალი რუსული წიგნი.** ჩვენ მივიღეთ ახლად გამოსული რუსული წიგნი: Память старыхъ кавказцевъ. (მოგონება ძველი კავკასიელებისა) თხზულება ცნობილის ღენერალის პატტოსი. პატივცემული ღენერალი ვ. პოტტო დიდი ხანი სწერს კავკასიის ისტორიაზე, მოღვაწეებზე და საზოგადოდ მთელს კავკასიაზე. ამ ჟამად ვ. პოტტოს წიგნი შეიცავს მოგონებას განსვენებულ მთავარ-მართებელზე ს. ა. შერემეტიევზე, ი. ს. კვინიტაძეზე, თავ. ნ. ზ. ჭავჭავაძეზე და რუსთ-ოსმალო უკანასკნელს ომიანობაზე. ეს წერილი სხვა-და-სხვა დროს გაზეთ „კავკაზში“ იყო დაბეჭდილი. მშვენიერად არის გამოცემული, შეიცავს 117 გვერდს და ღირს ნახევარ მანათად. წიგნი ფრიად სასიამოვნო და საინტერესო საკითხავია. წიგნი იყიდება „კავკასიის ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში.“.

*** **მუშების დათხოვნა თამბაქოს ქარხნებიდან.** ტფილისის ზოგიერთს თამბაქოს ქარხნებში შემოღებულ იქმნა მანქანები, რომლითაც იტენება პაპიროსები. ამგვარმა „რეფორმამ“ ქარხნებში დაათხოვნინა ის მუშები, რომლებიც წინად ხელით ტენიდნენ პაპიროსებს. დათხოვნილმა მუშებმა მთავარ-მართებელს მიართვეს საერთოდ თხოვნა, რომ მან მისცეს რაიმე შემწეობა გაჭირვებულებს და ისევ წინანდელს ადგილზე მიიღებინოს.

*** **დაარსება ტფილისში რკინის გზის სადგურისა.** წარსული წლის აგვისტოში დამტკიცდა ტფილისში საქალაქო სადგურის დაარსების გეგმა. სადგურის შესანახად გადადებულია 15,200 მან. ყოველ წლივ.

გუშინ, 10 ივლისს, ამ სადგურმა დაიწყო თავისი მოქმედება. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ეს მოვლენა. ვწუხვართ მხოლოდ იმას, რომ ტფილისში რკინის გზის საქალაქო სადგურის ადგილი არ იყო ღირსეულად შეგნებული ვისგანაც ჯერიყო. ქალაქის მცხოვრებლები კი დიდი ხანია ნატრობენ ამ სადგურის დაარსებას, ასე გასინჯეთ, ისეთმა უძრავმა და ჩათლახმა დაწესებულებამ, როგორიც არის ტფილისის თვით მართველობა, 1890 წელს თავისით აღძრა შუამდგომლობა სადგურის დაარსებაზედ. მხოლოდ დღეს, როგორც ზევით არის მოხსენებული, გველირსა საქალაქო სადგური. საზოგადოდ მნიშვნელობა საქალაქო სადგურს დიდი აქვს და, რასაკვირველია, უმნიშვნელოდ არც ტფილისში დარჩება. უმთავრესი მოვალეობა სადგურისა არის-გაადვილება მცხოვრებლების და რკინის გზის ერთმანერთთან დამოკიდებულება-კავშირისა. ყველას შეუძლიან სადგურში აიღოს მატარებლის ბილეთი, ჩააბაროს თავისი საგზაო ბარგი, გადასატანი საქონელი, როგორის სიჩქარითაც უნდა იყოს, ჩალაგება და შეკვრა საქონლისა და მრავ. სხვ. ყველა ამ საქმის გაადვილებაში მგზავრი ან საქონლის გამგზავნი იხდის თითქმის შეუმჩნეველზედ მეტ ფასს, რაც არსებობს თითონ ტფილისის რკინის გზის სადგურზედ.

*** **გეოლოგიურ კონგრესის მოგზაურობა კავკასიაში.** საერთაშორისო გეოლოგიური კრების წევრებს რიცხვით, 330, განზრახვა აქვთ იმოგზაურონ კავკასიაში სექტემბრის პირველ რიცხვებში, კავკავიდგან საქართველოს სამხედრო გზით ჩამოვლენ ტფილისში. რადგან მოსალოდნელია, რომ მეცნიერ მგზავრებს შეხვდეთ მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზები, როგორც სადგომი ბინის და საჭირო მცველების უქონლობა გზაში, ამიტომ მთავარ-მართებლის კანცელარია თხოვს ბ. ტფილისის გუბერნატორს მოახდინოს განკარგულება, რომ დანიშნულ იქმნეს ადგილობრივ ჩაფრებიდგან საჭირო რაზმი მცველებისა, რომელნიც მგზავრებს თან უნდა ახლდნენ, სანამ ტფილისის გუბერნიის გამოკვლევას გაათავებდენ. აგრეთვე ხსენებული კანცელიარია სთხოვს გუბერნატორს, აცნობოს მას, როგორი სადგომი სახლები იქნება მგზავრებისთვის დაჭერილი სადგ. ყაზბეგში, აგრეთვე თუ შეიძლება მცხოვრებლებისაგან იქირაოს კარავები ან რამე მოსახერხებელი თავშესაფარი საქართველოს სამხედრო გზაზედ მოგზაურობის დროს.

*** **მთაწმინდის მთაზე ტყის გაშ
ნება.** ქალაქის გამგეობის კომისსია
გაშინჯა რა მთაწმინდის მთა, სასურ
ველად იცნო, შეისყიდოს ქალაქ
ბ. ბ. პოლტარცკის და გაბაევ
მამულები ოქროყანაში და მთაწმინდი
მთაზე 50 დესეტინამდე ადგილზე ტყ
გააშენონ.

*** **სამეურნეო სწავლა სამინის
ტრო და სასულიერო სახალხო სკო
ლებში.** წარსულ კვირაში გაათავ
თავისი საქმეები კომისიამ უწ. სინო
დისამ ობერ-პროკურორის ამხანაგ
ვ. კ. საბლერის თავმჯდომარეობი
კომისიას მინდობილი ჰქონდა გამო
ერკვია საზოგადო წესები სამეურნე
სწავლების შემოღებაზე სახალხ
სკოლებში როგორც სახალხო გ
ნათლების სამინისტროისა, აგრეთ
სასულიერო მმართველობის სასწა
ლებლებში. აი კომისსის შრომის შ
დეგი ამ საგანზე:

სამეურნეო სწავლა დაბალ ს
წავლებლებში უნდა შემოღებ
იქმნას იმ აზრით, რომ გააცნოს
გილობრივი მცხოვრებლები მაგალ
თებით და არა თეორიებით სას
გებლო სამეურნეო ცოდნას. ამგ
სწავლას, რასაკვირველია, მიზნად
ექნება გამოიყვანოს სკოლის მო
ფეებიდგან სამეურნეო ტეხნიკები.
მეურნეო სწავლა უნდა შემოღებ
იქმნას იმ სასწავლებლებში, სად
ამისთვის უკვე ხელის შემწყობი
რობებია, სახელდობრ: ა) სახალ
განათლების სამინისტროს სასტა
სემინარიებში, ბ) სასულიერო მმ
თველობის სამასწავლებლო სასწ
ლებლებში. ამ ორ გვარ სასწავლ
ბელში სასურველია სამეურნეო სწ
ლა შემოღებულ იყოს როგორ
თეორეტიულად, ისე პრაქტიკულა
გ) სოფლის სამინისტრო ორ-კლასი
სკოლებში და საქალაქო სასწავლე
ლებში, დ) ერთ-კლასიან სამინისტრ
სასწავლებლებში, სამრევლო და პირ
ველ დაწყებით სასწავლებლებში.

თუ სკოლას საკმაო მინდორი (
შეძლება აქვს, სასურველია შემო
ღონ სამეურნეო სწავლა ისე, რო
გორც სასტატო სემინარიებში. დ
ნარჩენ დაბალ ორ-კლასიან სასწა
ლებლებში სამეურნეო სწავლა უნ
მიმდინარეობდეს დარიგებით და ყ
წვილების წესიერის მუშაობით გამო
ცდილის მასწავლებელთა ხელ-მძღ
ნელობით. მასწავლებელს ამისთვ
ჯამაგირი უნდა მიემატოს. პირვე
დაწყებით და ერთ-კლასიან სკოლე
ში ყმაწვილებს უნდა უჩვენონ მ
წავლებლებმა პრაქტიკულად,
როგორ უნდა გაშენდეს ბაღი, როგო
და რა წესით უნდა მუშაობდეს კაცი
ამასთანავე მოსწავლეებს უნდა აკ
თებინონ მათ შეძლების დაგვარა
სხვა-და-სხვა სამეურნეო საქმეები. რ
ხსენებულ სასწავლებლებში გამოც
დილი მასწავლებლები იყვნენ, საჭ
რო გაიხსნას პედაგოგიური კლას
ბი ან სამეურნეო კურსები. მთავრობ
მოვალეობაა გულმოდგინედ ადევნო
სასწავლებლებს თვალ-ყური და ყო
ველი ღონისძიება აღმოუჩინოს მას
წავლებლებს: დანიშნულ დროზედ
სინჯოს სამეურნეო ნაწილი სასწავ
ლებლისა, გზავნოს გამოცდილი პი
რები, რომელთაც შეეძლებათ საჭი
რო რჩევა-დარიგება მისცენ მასწავ
ლებლებს მეურნეობაში, შეძლების
დაგვარად უგზავნონ მათ თესლეუ
ლობა, სკები, სხვა-და-სხვა სამეურ

ნეო იარაღი და აგრეთვე დაასაჩუქრონ ისინი, თუ მასწავლებელი პატიოსნად შრომობს და ადგილობრივ მცხოვრებლებს შემწეობას აძლევს თავის სამეურნეო გამოცდილებით.

ამხანად სამეურნეო სწავლა შემოღებულია ექვს სასულიერო სასწავლებელში, ცხრა სამინისტრო სკოლაში, ოთხ საქალაქო და ხუთს დედოფალ მარიის სკოლებში.

⁂ **ჟურნალი „მოამბე".** ჩვენ მივიღეთ „მოამბის" მეშვიდე ნომერი (ივლისის წიგნი), რომელშიაც მოთავსებულია შემდეგი წერილები:

I. „მოლიპულ გზაზე", მოთხრობა ან. ერისთავისა (გაგრძელება).—II. „ცრემლები", ლექსი ვაჟა-ფშაველასი. III. „მაწანწალა", მოთხრობა გიუ-დე მოპასანისა, თარგმანი თ. სახოკიასი. IV. „გლეხი-კაცის ისტორია". ნაწილი მეორე. ერკმან შატრიანისა, თარგმანი ივ. მაჭავარიანისა.—V. „მედეია", ტრაგედია ევრიპიდესი. თარგმანი.—VI. „ლაზარე", შანტპლერისა, თარგმანი კიტა აბაშიძისა.—VII. „ვეფხის-ტყაოსნის" ყალბი ადგილები. — XXXVII — XXXVIII — XXXIX—XL. —ალ. ს—შვილისა. VIII. „ცხოვრება და ხელოვნება", კიტა აბაშიძისა.—X. „საქართველოს სიძველენი".

⁂ **ნათარგმნი წიგნის შესახებ.** ბ-ნო რედაქტორო! გასულს შემოდგომაზე, ვგონებ ღვინობისთვეში, ნომერი გაზეთისა აღარ მახსოვს, გაზეთ „კვალში" გამოცხადებული მქონდა ახალ ამბად, რომ ბ-ნ ლუნკევიჩის თხზულებას: Наука о жизни (общедоступная физіологія) სთარგმნის ქართულად ხარკოვის უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტუდენტთაგანიო. როცა ამას ვაცხადებდი საქვეყნოდ, რასაკვირველია, სახეში მქონდა ის, რომ სხვას ვისმე, თუ ჯერ არ შესდგომოდა ზემოხსენებულ წიგნის თარგმნას, აღარ შეეწუხებინა თავი და ტყუილად დრო არ დაეკარგა მისს თარგმნაზე, და თუ, ვინიცობაა, ვისმე უკვე მოკიდებული ჰქონდა ხელი ამ საქმისათვის, მაშინ, ვიმედოვნებდი, გამოაცხადებს, ე. ი. გამაფრთხილებს და მეც ამ წიგნის თარგმნაზე ტყუილად დროს აღარ დავკარგავ-მეთქი, თორემ, წარმოიდგინეთ თქვენ თვითონ, ბ-ნო რედაქტორო, წიგნი უკვე ნათარგმნი მაქვს, მხოლოდ შესწორება-გაშალაშინება და სუფთად გადაწერა ესაჭიროება და გაზეთში ვკითხულობ—ესა და ეს წიგნი ბ-ნ შ. ფრონელის მიერ ითარგმნებაო. მე აქ თუ მენანება რამე, ეს, რასაკვირველია, ის დრო, რომელიც მოვანდომე საუნივერსიტეტო ქალაქში ამ წიგნის თარგმნას. რომ მცოდნოდა ამავე შრომას სხვაც ეწეოდა, მაშინ ბ-ნ ლუნკევიჩის თხზულების თარგმნაზე მონდომებულ დროს სხვაფრივ გამოვიყენებდი არა ნაკლებ სასარგებლოდ. მე ეს დრო დაკარგულად მიმაჩნია, თუ არ დაიბეჭდა ჩემი თარგმანი, იმიტომ, რომ ჩვენში ჯერ კიდევ შორს არის ის სანეტარო დრო, როცა შესაძლო იქნება ერთისა და იმავე წიგნის რამდენისამე პირისაგან თარგმნა, ცალ-ცალკე გამოცემა და მისი მკითხველების შოვნა. ჯერ ის წიგნებიც-კი, რომელნიც ერთ გამოცემად იბეჭდებიან, თაკარ-თაკარად იწყვიან თაროებზე გაუყიდველნი (ეს ხომ არავისთვის საიდუმლოს არ შეადგენს), სად დარჩა, რომ ორ გამოცემად დაბეჭდილი წიგნი და ისიც თარგმანი, მასთანვე მეცნიერული შინაარსისა! ამიტომაც ვსთხოვ ბ-ნს შ. ფრონელს, თუ ხსენებული თხზულება ბ-ნ ლუნკევიჩისა სრულად არა აქვს ნათარგმნი და დამთავრებას ჯერ ბევრი უკლია, და ამასთანავე თუ თითონაც შესაძლოდ ჰპოვებს და უერთდება ჩემ მიერ ზემოთ ნათქვამს, ნუღარ შესწუხდება მაგ წიგნის თარგმნაზე.

თუ მაინცა და მაინც არ მიიღებს ჩემს წინადადებას, ვსთხოვ გამიზიაროს თავისი აზრი ამ საქმის შესახებ. ადრესი: Абастуманъ. Его преподобію священнику Алексѣю Зедгинидзе, для передачи студенту А.

ხარკოველი სტუდენტი.

⁂ **ქ. სოხუმი.** აქაური ცხელ-ცხელი ამბები: **„ზღვაოსნობის საზოგადოებათა" საყურადღებოდ.** მოგეხსენებათ, დიდი ხანია, რაც დაარსდა ეგრედ წოდებული—„Русское Общество Пароходства и торговли», რომლის გემები დადიან შავ ზღვაზედ, გადაყავ-გადმოყავთ მგზავრები და გადააქვ-გადმოაქვთ საქონელი; ამ საზოგადოებას, სანამ სხვა მეტოქე არ ჰყავდა, ძლიან აწეული ქირა ჰქონდი დაწესებული, როგორც მგზავრთათვის, ისე საქონელზედაც. მაგრამ ვაჩნდა მეორე—ეგრედ წოდებული—Россiиское общество, რომელმაც ძრიელ დაუკლო ფასები შედარებით პირველისა, რომელიც, რასაკვირველია, საზოგადოთ მგზავრთათვის დიდად სასარგებლო იყო და არის; აგერ ერთი წელიწადია, რაც დაარსდა მესამე—ეგრედ წოდებული, „Азовское общество". ამ საზოგადოებამ ისე დაუკლო ფასები, როგორც მგზავრების გადაყვანას ისე საქონლის გადატანას, რომ თითქმის გაანახევრა!.. ეხლა ამ სამს საზღვაოსნო საზოგადოებათ" ერთმანერთში დაჯიბრება აქვთ გამართული... არა ჩვენი გემით წადი, არა ჩვენითო—ეუბნებიან მგზავრებს აგენტის მოსამსახურენი... რითაც დიდი შელავათი მიეცა ღარიბ მგზავრთ... ქალია თუ კაცი, დიდი თუ პატარა, მგზავრი კითხულობს: ნეტა როდის მოვა „აზოვის პარახოდი"-ო...

პირველმა ორმა საზოგადოებამ—(Русское Общество და Россійское общество) აქ, სოხუმში ზღვის პირად გააკეთეს ხის შენობები, როგორც ამბობდნენ იმ აზრით, რომ, თუ ავადმყოფობა-რამ გაჩნდეს, აქ ამ შენობებში იქნას კანონიერი ზომები მიღებული მგზავრთათვისო; მაგრამ, ღვთის წყალობით, არავითარი ცუდი გადამდები სენი არ გაჩენილა, სრული მშვიდობაა, ასე, რომ ეგ ორი შენობები, ყოველისფრით მომზადებული მგზავრთა თავ-შესაფარათ, თითქმის ერთი წელიწადია კარებ დაკეტილია! ნუ თუ ამ შენობებს საქმეში ვერ გამოიყენებენ! რა საქმეშიო, იკითხავთ. მოგახსენებთ: აქ, სოხუმში გემები ღამ-ღამობით მოდიან, იმ დროს, როცა სასტუმროები და დუქნები დაკეტილებია, მგზავრი თავის ბარგხანით უნდა გადმოვიდეს გემიდგან და, რადგან ბინას ვერ შოულობს, იძულებულია სამი-ოთხი საათი ქუჩაში გაჩერდეს თავის ბარგხანით. კიდევ კარგი, თუ დარია, მაგრამ თუ ზევიდან კოკის პირულათ გადმოუშვა წვიმა, მაშინ თქვენი მტერი—მგზავრები გაჭირვებაში ჩავარდნენ!.. ბევრჯერ მინახავს მგზავრები დასველებული! ნამეტურ, ძნელია ქალები თავის ძუძუ მწოვარა ბავშვებით.. ამისათვის, კარგი იქნება, თუ გამგენი აღნიშნულ „საზოგადოებათა" განკარგულებას მოახდენდნენ, რომ ეს ორი შენობა ცუდი ამინდის დროს იქმნას გაღებული გაჭირვებულ მგზავრთათვის, მეტადრე ღამ-ღამობით... ამით „საზოგადოება" არას წააგებს და მგზავრნი მადრიელნი იქნებიან და თანაც სამადლო საქმეც იქნებოდა... იმედია, ამ საგანს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ ხსენებულ „საზოგადოების" გამგენი.

— **ქართული ხორის კონცერტი.** აქ ჩამოვიდა ბ. კავსაძის მეთაურობით ქართული ხორო, რომელმაც 2-ს და 3-ს ამ თვისას გამართა კონცერტი. საზოგადოება, რადგან საგარაკოდ არის გასული, ცოტა დაესწრო. დამსწრე საზოგადოება ძრიელ კმაყოფილი დარჩა... ნამეტურ როცა დაიწყეს გულ-წარმტაცი „თამარის დროშა გაშალეს"—თავზედ ბალანი აგვიბურძგდა... აქაურმა ვაჭარმა ბ. სტეფანე თურქიამ ხოროს თავის ხარჯით ვახშამი გაუმართა, სტუმრები თითქმის 50—60 კაცამდე იყო, თეთრათ გაათენეს; კიდევ დიდხანს დარჩებოდნენ, რომ ორთქლის გემის ხმას არ შეეშალა მათთვის ხელი. გაიგონეს რა ხმა გემისა, ხორო გამოემშვიდობა სოხუმელებს და გამოემგზავრა ქუთაისისკენ, ამბობდნენ—დაბებშიაც გავმართავთ კონცერტსო. ხორო გემამდის მივაცილეთ, „ვაშას" ძახილს და მანდილების ქნევას ბოლო არა ჰქონდა... ღმერთმა გაუმარჯოს ბ. კავსაძეს და მის თანამშრომელთ ამ წმინდა საგნის შესრულებაში...

— **„ქართლის ცხოვრების" გამოცემის გამო.** ,,ცნობის ფურცლის" აზრი ,,ქართლის ცხოვრების" რიგიანად გამოცემაზედ აქაურებს ყველას მოსწონს... ხელის მოწერა რომ გაიმართებოდეს ამ საგნისათვის, ყველა თანახმაა თავის წვლილი გამოიღოს და გამოუგზავნოს ,,ცნობის ფურცლის" რედაქციას. მხოლოდ, როგორც გაზეთი ამბობს: გვიან იქნეს და კარგად, უნაკლულოდ შედგენილ იქნას რამოდენიმე გამოცდილ და ნასწავლ პირთა რედაქციითო, ესკი ქვეყნზედ ახლოა და ამის თანახმა არის და იქნება კიდეც ყველა ქართველი...

— **აფრიკის ქართველობის გამო.** ,,აფრიკაში ქართველები ყოფილანო" გამოვიდა ხმა და ,,ცნობის ფურცელს" უკვე დაუწყვია შეწირულების მიღება ამ მართლა საინტერესო საქმის გამოკვლევისათვის და ამასთან თავის თანამშრომელიც, ბ. თ. სახოკია, დაუსახელებია აფრიკაში წამსვლელად, რათა გამოიკვლიოს იქაურ ქართველ ტომთა არსებობა. ამაზედ აქაურები ყველანი მოხარულნი არიან, თავიანთ წვლილს მოგვაწვდიან... იმედიაო, ამბობენ აქაურები, თ. სახოკია თავის შრომით და მეცადინეობით შეასრულებს ამ საგულისხმო საქმეს და უკან არ ჩამორჩება ,,დიპლომიანებსაო"... ღმერთმა ხელი მოუმართოს ,,ცნობის ფურცლის" კეთილ დასაწყისს და ბ-ნ თედო სახოკიასაც...

— **,,ბანქობანა" და უსაქმური ახალგაზრდობა.** აქ ვაჭრობა ძალიან დავარდა. ამიტომაც არის, რომ აქაური ვაჭრები მუდამ ,,პრეფერანს"-ს თამაშობენ, ზოგი აგებს, ზოგი გებულობს... წამგები გულ-მოსული ამბობს: ამის თამაშს,—ფულის წაგებას და დროს დაკარგვას ის არ ჯობდა, რომ არხეინათ სახლში მომესვენაო?.. მაგრამ, საუბედუროთ, ესევე ვაჭატონი მეორე დღეს კიდევ შედის ,,ყავახანაში" და ადრიანად გაიძახის: „მოიტა კარტიო"! ვერც გავუმტყუნებთ... აბა რითი შეიქციონ თავი ამ ქესატობაში?

გასამტყუნარი და ალსაკრძალავი არის იმისთანა ახალგაზრდა ბიჭებისათვის, რომელნიც არაფერს არ აკეთებენ, არ მუშაობენ ტყვილა სხედან ,,ყავახანებში" და სულ ბანქოს თამაშობენ.. ფულს რომ წააგებენ, შემდეგ თან გაიყოლებენ ჩოხას, ქამარს, ხანჯალს და სხ. კარგი იქნება, პოლიცია სასტიკად მიეპყრობოდეს ამათ. თუმცა ბ. ა. გაგუა, აქაური ბოქაული ძალიანს დევნის ასეთს უწესოებას, მაგრამ უფრო კარგს იზამს, მეტს ღონეს იღონებდეს, რათა ამდენი ახალგაზრდა ბიჭები ტყუილად და უსაქმურად მჯდარნი—სამუშევარს იშოვნიდეს რასმე. ჯერ კანონიც ითხოვს და მერმე მადლიცაა იმათი სამართლიანად ჭკუის სწავლება...

— **სამკითხველოს შესახებ.** აქაურის სამკითხველოს გამგეს ბ. პ. კალანდარიშვილს არავინ არ ემდურის სამკითხველოს 30 წევრთაგან და რა უბედურობაა ბ. ვ. რუხაძემ რომ გააჭირვა საქმე?! უკეთესია, რომ თავს დაანებებდეს. ჩვენ არაფერს ცუდს ვხედავთ, პირიქით, კარგ მეცადინეობას იჩენს ბ. პ. კალანდარიშვილი...

— **მოსავალი.** აქეთ მოსავალს კარგი პირი უჩანს ჯერ-ჯერობით, სიმინდი და თამბაქო კარგია. ყურძენი ამისთანა მოსხმული არავის ახსოვს; მგონი, აქეთ ,,ოდესის" ყურძნის ღვინო ვედრო წელს ორ აბაზად გაიყიდოს.

ს. ხ—ია.

⁂ **დუშეთი.** აქაური ცხელ-ცხელი ამბები: აქ ბევრს ლაპარაკობენ ახლად მიცვალებულ სოვდაგარ ალექსანდრე ზალინოვის ანდერძის თაობაზე. როგორც ისმის, მოანდერძეს სურვილისამებრ, რაც უძრავ-მოძრავი ქონება აბადია კავკაში, უნდა გაიყიდოს, შესდგეს თანხა და იმის სარგებლით საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში იზდებოდეს მისივე ნათესავები სომეხთაგანი; რაც შეეხება დუშეთში ზალინოვის ავლა-დიდებას, იგი უნდა იყვეს ხელ-უხლები, მხოლოდ მის შემოსავლით ალაგობრივ სასწავლებელში უნდა სწავლობდეს რამდენიმე სტიპენდიანტი, აგრეთვე სომეხთაგანიო.

— **სოფლელ მეხორგეთა გაჭირვება.** აქ ახლო-მახლო სოფლებიდამ გასასყიდათ რძე, მაწონი, ყველი, კვერცხი ჩამოაქვთ ხოლმე. რადგანაც საიმისო ბაზარ-საწყობი ალაგი არ არის გამართული, საბრალო სოფლელები პაპანაქებაში და ჭყოპა წვიმაში ქუჩა-ქუჩა დადიან ხოლმე. საქმე ის არის, რომ... ამნაირ ტანტალში ჩამოტანილი სამეურნეულო საკვები ილახება ფუჭდება და თვითონ სოფლელიც ავად ხდება.

ჩვენის ქალაქის თვით-მმართველობა მადლს იზამდა, რომ ამ მხრივ ჩვენ გლეხ-კაცობას ტანჯვა შეუმსუბუქოს.

— **ამინდი და ზაფხულობა.** ზაფხულობით ჩვენ დუშეთს წუნს ვერავინ ვერ დასდებს, იქნება ზოგიერთი სამაზრო ქალაქიც გადააყენოს კიდეც. მართალია, ძალიან არა გრილა, მაგრამ არც თუ სიცხით ვიწვით. გარშემო შემოვლილ ბაღებში ხომ ჩრდილია და გრილა. საღამ-საღამოობით გზატკეცილზე სიო და სიგრილე სუფევს. მართალია, დუშეთს საბანაო მდინარე არა აქვს, მაგრამ ბაზალეთის ტბას რომელი სამადნეულო წყალი სჯობია? ბაზალეთის ტბა დუშეთზე ახლოა და მის სამკურნალო და სასარგებლო წყალი ბევრთათვის ცნობილია.

— **აქაური გასართობები.** ზაფხულობით დუშეთი არც გართობის მონატრულია: ამას წინედ სამხედრო საკრებულოში საბავშვო სიღამო გამართეს, ეხლა კიდევ თვალთ-მაქცობის პროფესორი კორსაკი თავის ცოლით გვეწვია. თვალთ-მაქცს ჯერ ნამდვილი სეანსი არ გაუმართავ მხოლოთ რამდენიმე ნომერი კი გვაჩვენა: ძვლის თავი ალაპარაკა, ჰაერში ქალი გამოაჩინა და რამდენიმე სხვისი ფიქრი გაიგო.

დუშელი ვანო.

⁂ **დ. ზესტაფონი** (იმერეთი). **კაცების დაჩეხა უსაქმურ გაუბატონებისაგან.** ორი ახალგაზრდა ყმაწვილი ბ—შვილები დამთვრალიყვნენ. საღამოზე მთვრალებმა ჩამოიარეს და შევიდნენ დუქანში, სადაც მოითხოვეს რამდენიმე ბოთლი ღვინო; დალევის შემდეგ ფული არ მისცეს და რადგან მედუქნემ ფული მოსთხოვა, იწყინეს და დუქანი დაუმტვრიეს; იქიდან წასულნი მიუცვივდნენ მეწვრილმანე მ. ხ—ძეს, რომელთანაც, როგორც ამბობენ, რაღაც ძველი „ინტერესი" ჰქონებოდათ, იმასაც აუტეხეს შფოთი და დუქანი დაუმტვრიეს, გამშველებლად მივარდნილიყო ნ. ჩ—ძე, რომლისთვისაც ერთს მოჩხუბართაგანს დაეკრა ხანჯალი მარცხენა ხელზე და მთელი ძარღვები გადაჭრილი აქვს ჩ—ძეს; ამბობენ, ხელი დაუშავდება სამუდამოთო. დაჭრილი ჩ—ძე გაქცეულა ნაცნობ ნ. მელაძის დუქანში და იქ დაწოლილა.

ბოროტ-მოქმედები იქაც მიჰყოლიან და დაუწყვიათ მედუქნე მელაძისთვის ჩხუბი; სუფრები დაუჩეხიათ და დახლიდრისთვის ხანჯალი მოუქნევიათ, მედუქნეს მიშველებია თავისი ძმა; ამ დროს მოუსწრია პოლიციელს—მოჩხუბრების ბიძაშვილს— და დაუწყვია ზავება, მაგრამ იმასაც ვერაფერი უშველია და ორივე ძმა მელაძენი მძიმედ დაუჭრიათ: ერთს თავში აქვს შემოკრული ხმალი და მეორეს ორი თითი აქვს მოჭრილი; თითები დაიკარგა, ვერსად ნახეს. ბოროტ-მოქმედები დაპატიმრებულნი არიან; გამოძიება სწარმოებს. როგორც ხალხი ამბობს, მაყურებლები და დაჭრილიც: თითები მოუჭრია ხმლით.

კარგა ხანია, რაც ყვირილაში დავისვენეთ, მხოლოდ ამ ბოლო დროს კი გაიხსენეს ჩვენმა უსაქმურმა აზნაურებმა თავიანთი ძველი ხელობა—აურ-ზაური და უმიზეზო ჩხუბი. იმედია, ჩვენი მხნე და კეთილ-დღეობის მოყვარული ბოქაული ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს ამ საქმეს და გაგვანთავისუფლებს იმ ვაჟბატონებისაგან, რომლებიც ცუდათ დაეხეტებიან დღე და ღამ და ქაღალდის თამაშობის მეტს არას აკეთებენ. თვი-

თის აქვს ორ-ორი შაური, თამაშობენ „ცხრას“; ერთი მათგანი მოიგებს ორ შაურს—ერთი შაური თვითონ დარჩება და მეორე შაურს მედუქნე წაიღებს. ამას გარდა, აქ ჰქონდა ცუდა ხალხს გასართობი ბილიარდი, რომელიც ამ დღეებში დაუხურა ბოქაულმა პატრონებს ნება-რთვის აღებამდე. სასურველია, სულ არ მოუვიდესთ ნება-რთვა ბილიარდის პატრონებს.

ურჩი.

⁂ **სოფ. საჯევახო** (იმერეთი). ცაბედად გადარჩენილი. ს. საჯევახოში ამას წინედ, ღამე ესროლეს მძინარეს თ. თ—ის თავის სახლში ბერდანის თოფი ფანჯარიდან, მაგრამ რაღაც იღბალზედ გადარჩა. როგორც ამბობენ, მსროლელი მისი მოგვარე უნდა ყოფილიყოს და მიზეზი ამ საქციელისა, თურმე, ქალი უნდა იყოსო.

⁂ **ს. ქულაში.** სახლის გატეხა. ერთმა ურიამ თავის მეზობელს (ურიას) სახლი გაუტეხა და ორი ცალი საქონელი წაიღო. დამნაშავე ჯერ ვერ შეუპყრიათ.

⁂ **დ. ყვირილა** (ზესტაფონი). ქართული წარმოდგენა. 4 ივლისს აქ გვეწვია ტფილისის ქართულ აქტორები (?), რომლებსაც უნდა ეთამაშნათ (როგორ·ც განცხადებიდან სჩანდა) I „ჰკუისა მჭირს“ და II „ადვაკატი მელაძე“, მაგრამ ეს ასე არ მოხდა; რაღაცა „მიზეზის გამო“ ზემოხსენებული პიესების მაგივრად დადგეს I „დათვი“ ვოდ. ერთს მოქმ. და II „ბაიყუში“ კომ. 2 მოქმ. ა. ცაგარლისა. მონაწილეობას ღებულობდნენ: ქ. ქ. რჩეულოვისა, გალუსტოვისა, ბ. ბ. თამაზიშვილი, გალუსტოვი, ხრეითელი და სხვ...

წარმოდგენამ მხიარულად ჩაიარა, თუმცა მეორე მოქმედებაში „ბაიყუში“ რამოდენიმე სცენა გამოსტოვეს... საზოგადოება ცოტა დაესწრო. შემოსავალი ოც მანათამდე დარჩათ.

თავისუფალი.

⁂ **სოფ. ნაფარეული** (კახეთი). აქაური ამბები. კახეთში შენიშნულია ეს სოფელი, როგორც დამცდელი და ხალხის მაზარალებელი ადგილი. მდებარეობს ზემო კახეთში, მდინარე ალაზნის მარცხნივ 4—5 ვერსის მანძილზედ. ამ ოცის წლის წინად ეს სოფელი შეიცავდა 250-მდის კომლს მცხოვრებს. იყო ორი შტატის ეკკლესია და ორი მღვდელი. ერთის მღვდლის სამრევლოს შეადგენდა თვით სოფ. ნაფარეული, მხოლოდ მეორისას-კი ხატიანი (ხატიანათ უწოდებენ ქვემო უბანს). ხატიანი მაშინ თითქმის 100 კომლამდის მცხოვრებს შეიცავდა და ნაფარეული კიდევ უფრო მეტს. ეხლა-კი ხატიანი შესდგება მარტო 15 კომ. მცხოვრებთაგან და ნაფარეული კი 120 კომლისაგან. ესენი კი განა ნამდვილი აქაურნი მკვიდრნი არიან? სრულებითაც არა. მოკვდება ვინმე კაცი—შევა მამულზედ სხვა გარეშე და სხ. და აი ამ რიგათ მიმდინარეობს ამ სოფ. მცხოვრებთა არსებობა!...

რათა სწყდება აქ ხალხი?, იკითხავთ და აი გიპასუხებთ კიდეც ზოგიერთს მიზეზებს: ს. ნაფარეულს ჩამოუდის მდინარე „ლოპოტა“, რომელიც უხვათ აწვდის ამ სოფელში მცხოვრებთ სარწყავს წყალს. ამის გამო, არამც თუ ამ სოფ. მცხოვრებნი, არამედ ბევრი სხვა გაღმა-გამოღმა ს. ს. მცხოვრებნიც-კი აქა ხნამენ მიწებს და სთესამენ: სიმინდს, ფეტვს, ბაღებს და სხვ. ერთის სიტყვით, კაცმა რომ გაიხედოს ამ ს. მინდვრებზედ, ყანების მომკის შემდეგ, თვალს ვერ გადაუწვდენს მწვანეთ შემკულს მინდვრებს! აი ეს გახლავთ სიმინდები და სხვა, რომელიც ეკუთვნით მოსავალს ს.ს. მცხოვრებთ. შიგ სოფელშიაც მრავალი ვენახებია, ბახჩები მოსავალის მცენარეებით სავსე, ბაღები და სხვ.

დიდი სიუხვე სარწყავის წყლისა გაჰხდომიათ აქაურებს მიზეზად დასნეულებისა. საქმე ის არის, რომ წყალს არხები არა აქვს და ბევრ ალაგას გუბდება, ყროლდება და აჩენს ჰაერში ათას ნაირს სატკივრებს. აი ამ მოწამლულის ჰაერითა სუნთქავენ აქაურნი მცხოვრებნი მთელის ზაფხულის და შემოდგომის განმავლობაში და აბა რა ხეირს დააყრის?! ჰავაც, რადგანაც დღეში რამდენჯერმე იცვლება, ხელს უწყობს მრავალ-გვარის ავადმყოფობის გავრცელებას. დღისითა ცხელა და საღამოთი და ღამე—ცივა. მოდის მუშაობიდგან დაღლილ-დაქანცული კაცი, ან დედაკაცი და ხშირად, უფრო ზაფხულში, გარეთა წვება დასაძინებლად. რასაკვირველია, დაღლილს ადამიანს მალე და მაგრათაც დაეძინება, ხშირად ღამე გადაეხდება სახურავი და გაცივდება. აი ამის გამო აქ ხშირად ბუნაგობს მრავალ-გვარი ავადმყოფობა: ციებ-ცხელება, ანთება, წყალმაკი, მჭვალი და სხვ.

თუმცა ყოველს ს. ს. თუ ქალაქებში ყოველი ღონის ძიება არის ნახმარი იმის შესახებ, რომ სუფთათ შეინახონ ყველამ გზები, ეზოები და სხვ. სისუფთავის დასაცველად, მაგრამ აქ-კი ჯერ ისევ ღრმა მილში არიან და გაღვიძებას არ აპირობენ!. ამის მიზეზი, რასაკვირველია, მამასახლისია ბ. ბალაშვილი, მაგრამ აბა ამაზედ რა გვეთქმის! აქამდის ბ. ?ალაშვილს მეძროხობაში გაუტერებია თვისი სიცოცხლე, უცხოვრია ტყეღრეში და მარტო პირუტყვებთანა ჰქონია საქმე. ეხლა-კი მთელის ს.ნაფარეულის მცხოვრებთ—მეტყველთ—აღმოურჩევიათ თვის უფროსად და, აბა გაშინჯეთ, როგორ მოუვლის მათ? მისს საბძანებელს ამ სოფლის მიკიტნის დუქნები შეადგენენ და საქმეს—ღვინის სმა!.. თუ გნებავთ, იქ უნდა მოძებნოთ და საქმესაც აი აქ გაგისამართლებთ. ხალხის მოსაქცევათ თუ დასასჯელადაც ბრძნულს ღონისძიებას ხმარობს: „ცემა-ტყეპვას მათრახით“. სცემს ყველას, როდესაც მოეგუნებება და სიმართლითა თუ სიმტყუვნით, მაგას ვინ დაეძებს! თვისი საყვარელი და გა·უშორებელი მეგობარი—მსხვილი მათრახი,მუდამ ხელში უჭირავს და ხარაზს დღეში ორჯელ აკეთებინებს, რადგანაც ბევრის საქმის გამო მალ-მალე წყდება. მისი თანაშემწეც-კი არ დასტოვა უნუგეშოთ და სამიოდეჯერ გაეხუმრა (მათრახით სცემა). ამის გამო ბ. ბოქაულს აქვს რამდენიმე საჩივარი მინდობილი გამოსაძიებლად. ზოგი ცემაზე უჩივის, ზოგი ქრთამზედ და ზოგი სხვ.

რაც შეეხება სანიტართ რაზმის წევრებს, არც ესენი განაგებენ წესიერად. აქამდის წევრებათ გლეხები იყვნენ და აბა რა გვეთქმოდა, თუმცა ბევრჯელ არიგებდნენ და უხსნიდნენ სისუფთავის მნიშვნელობას, როგორც აქაური მღვდელი, აგრეთვე ბ. ბოქაულიც ი. გომელაური და ძალისაც ატანდა ბ. ბოქაული, ეხმარათ ყოველი ღონისძიება სისუფთავის დასაცველად, მაგრამ მოუცლელობისა გამო აქ დიდხანს ვერ იცდიდა და ეს უსუფთაობაც ისევ ისე რჩებოდა.

ამ რამდენისამე თვის წინად დაცვალეს ეს სანიტარის წევრები და დანიშნეს სხვები. აზნაური ი. ჩიკვაიძე, გლეხი ს. გოდაბრელიძე და მათ უფროსათ ს. ნაფარეულის განმანათლებელი—მასწავლებელი ბ. ე. ზედგინიძე. გულში იმედმა გაგვიღიმა, ვსთქვით: ეხლა-კი როგორც შესმენილი კაცი წესიერებას დაიცავსო, მაგრამ მოვტყუვდით! ამათმა დანიშვნამ უსუფთაობა არ შესცვალა და ისევ ისე მიმდინარეობს, როგორც აქამდის...

ალ. ვ—შვილი.

სასარგებლო ცნობა.

—

აბრეშუმობის წარმოება მართებულ წეს რიგზე. თუ ახლა არა, შემდეგ მაინც აბრეშუმის წეს-რიგიანი მოვლა ჩვენში აბრეშუმობას დააყენებს ჯეროვან და სასარგებლო გზაზედ და ერთ საუკეთესო საშუალებათ უნდა ჩაითვალოს ჩვენი ნივთიერად გაძლიერებისათვის. თუმცალა ჭიებით ოქროს შოვნა ყველას გაგებული აქვს და ერთგულადაც ჰკიდებენ ხელს ამ უებარ საქმეს, მაგრამ მეტი სარგებლობა გვექნებოდა, რომ ამ საბედნიერო საშუალების საუკეთესო ნიადაგზედ დაყენება შეგვეძლებოდა.

თესლიდან გამოსვლისთანავე, აბრეშუმის ჭიებს აჭმევენ წვრილად დაჭრილს ბჟოლის (თუთა) ფოთლებს *) და აშორებენ დანარჩენ თესლს, რომლებიდანაც ჯერ ჭიები არ გამოსულა. მეორე დღეს გამოსულ ჭიებს კიდევ ცალკე იყვანენ და ასე შემდეგ, რადგან სხვა-და სხვა დღეს გამოსული ჭიები არა ერთ დროს იცვლიან კანს, რაც დიდი მავნებელია აბრეშუმისათვის, რადგანაც კანის გამოცვლის დროს ჭიებს საჭმელი არ უნდათ და იმ დროს არც ხელის ხლება კარგა, რათა არ მოვაშოროთ ჭია იმ საგანს, რაზედაც დამაგრებულია ნამეტურ უკანა ფეხებით. თუ იმ დროს ჭია თავის ადგილს მოვაშორეთ, მერმე ფეხს ვერაფერზედ ვერ მოიკიდებს და კანი ტანზედ შერჩება, რის გამო რამოდენიმე დღის შემდეგ მოკვდება. კანის გამოცვლის დროს, თუ შიროს ზევით, თავზედ დავაკვირდებით, შევამჩნევთ სამკუთხიან მოყვითალო ფერს. ბოზლების გადასახმა უმჯობესია დახვრეტილი, გადასაღები ქაღალდებით (съ емникъ), რომელსაც დაადებენ აბრეშუმის ჭიებზედ, დააყრიან ზევიდან თუთის ფოთლებს და როდესაც ბოზლები ზევით ამოვლენ საჭმელისათვის, ქვედა ქაღალდს „ნაძილით“ (ცურცლა და გამხმარი ფოთლები) გამოაცლიან და ისე შემდგეგ. ჭიები სქლად არ უნდა იყონ, რადგანაც ერთი-მეორეზედ გადაკლით შეიძლება რომელიმე დაშავდეს პატარა კლანჭებით, რომლებიც ბოზლებს ძლიერ ბასრი აქვსთ და ბოზოლს რომ ცოტათი გაფხაჭნოს კანი, მისთვის ისიც საკმარისია. ელვა-ქუხილის დროს ფანჯრები უნდა დავხუროთ ფარდებით ან სხვა რამეთი, რომ ელვის შუქი ჭიებს არ სცდებოდეს, რაც ძლიერ მავნებელია.

აბრეშუმის ჭიას, როგორც ყველა სულდგმულს, სჭირდება სინათლე. ზოგი ფიქრობს, აბრეშუმის ჭიებს თვალი არ აქვსო და სინათლე არ სჭირდებაო, ეს შეცდომაა: ჭიას თორმეტი თვალი აქვს, ექვსი ერთ გვერდზედ და ექვსი მეორეზედ. მზის სხივები კი თუ პირდა-პირ სცემს, ჭიებს ძლიერ ავნებს. როდესაც სიცხეა, სჯობს სამხრეთის ან საიდანაც მზე ანათებს ფანჯრები და მათი საფარები დაიხუროს და ჩრდილოეთის მხრით გაიღოს, რომ გრილი ჰაერი შემოვიდეს. საჭმელი ჭიებს უნდა ხმელით, რაც შეიძლება, ხშირად. ე. ი. როგორც გაათავებენ, მაშინვე ახალი ფოთლები მაიწოდეთ. სველი ფოთლების ჭმევა ბოზლებისათვის მავნებელია. თუმცალა ევროპაში ხანდახან აჭმევენ სველ ფოთლებს, რაც იქ მაინც-და მაინც არ სწყინს, რადგან ბოზლები კარგ სახლებში ჰყავსთ და სითბოც, რამდენიც ჭიებს უნდებათ, სწორედ იმ ზომისა აქვსთ. როდესაც ჭიები ჭამას თავს ანებებენ და პირიდან ძაფის გამოშვებას იწყებენ, სიმარდეს იჩენენ და მაშინ ცახს (უსათუოდ ხმელს) დაუდგამთ და თუ ჭიამ ძაფის ხვევა დაიწყო და ცახს ვერ მიაგნო, სჯობს ბოზოლი ცახზედ დასვათ, რაც შეიძლება ფრთხილათ, რომ ჭიებს არაფერი ავნოთ. თუ შევამჩნიეთ, რომ ორი ჭია ერთად აკეთებენ პარკს, იმ შემთხვევაში უნდა მოვაშოროთ ერთი და სხვა ადგილს გადავსვათ; თუ სამი ან ოთხი აკეთებენ ერთად—ისინიც უნდა გავაცალკევოთ.

პარკის კეთებას ბოზოლი სამ დღეს გაათავებს და მერმე შეიძლება მისი გამორჩევა. თუ ჭიები დარჩნენ პარკის გაუკეთებლად, ისინი უნდა შეუერთოდ სხვა ჭიებს, რომ სხვა-და-სხვა დროს დაწყებული პარკი ერთად არ ავურიოთ (შეიძლება ზოგი მოუთავებელ იქნეს და ზოგიდან პეპელებმა იწყონ გამოსვლა)· გამოვხილავთ თუ არა პარკს, უნდა მოვაშოროთ მათ ირგვლივ გაბურდული ძაფი და გადავარჩიოთ აი ამ ნაირად: თუ პარკი ორ-ჭიანია, რასაც შევატყობთ სიმსხოთი, ნამეტანი სიმაგრით და უშნო გარეგნობით და მოუგანილობით; ხალებიანი ნიშნებიანი—რითიმე დასვრილნი, მოუთავებელნი და სხვა; მიზეზიანები უნდა დავაწყოთ ცალკე და უმიზეზო პარკები ცალკ-ცალკე, რომ შემდეგ კარგი და ცუდი ხარისხის პარკები ცალკ-ცალკე ამოვიღოთ.

პარკებში ჭიების დახრჩობა შეიძლება ამ ნაირად: ქვაბში ავადუღებთ წყალს, ზევით (ქვაბზედ) გავაწყობთ ჯოხებს, რომ ცხრილი იქნება თუ საცერი ან სხვა რამე, რომელზედაც პარკს დავაყრით, გაზჩეროს რამოდენიმე წუთის განმავლობაში. ჭია დაიხრჩობა თუ არა, ამის გასაგებად უნდა გავსჭრათ ერთი პარკი, გამოვიღოთ ჭია და დავუწყოთ ჩხვლეტა: თუ ჭია არ დაიძრა—მკვდარია. შემდეგ პარკებს გავაშრობთ მხოლოდ ჩრდილში და არა მზეში და შევინახავთ, რამდენ ხანსაც გვსურს; მაგალითად, ორს, სამს წელიწადს და მეტსაც რომ დარჩეს, არა უშავს, თუ კარგათ შევინახავთ და თაგვები *) ან სხვა რამე პარკების მტერები არ წაახდენენ. როდესაც გვესურვება, მაშინ გავყიდით პარკს ან ძაფად დავართავთ. ძაფის ამოსაღებად უმჯობესია ვიხმაროთ წვიმის თოვლის ან მდინარის წყალი და არა ჭების და ზღვისა. თუ ზემოდ ხსენებული წყლის შოვნა გაძნელდება, მაშინ რა წყალსაც ვიშოვით, რამდენსამე ხანს უნდა დავაყუდოთ, რომ აბრეშუმისათვის მავნებელი წყალის ნაწილები გაქარწყლდეს და შემდეგ ვიხმაროთ. აბრეშუმის ძაფის გამოხარშვისათვის საჭიროა ავიღოთ ძაფის მესამედი (წონით, ნახევარი ან მეტიც რომ იქნეს არა უშავს, არამედ უფრო მალე გამოიხარშება მარსელის ან ტასსარის (მოსკოველი მექარხნე) საპონი, დავთალოთ წმინდათ, გავხსნათ ცხელს წყალში, რაშიაც ჩავდებთ გამოსახარშავ ძაფს და გადუღებთ ნახევარს, ერთს, ან ორს საათს (რამდენით საპონი მეტი იქნება, იმდენათ ცოტა ხარშვა დასჭირდება); მეორე ჭურჭელში გადავიღებთ, სადაც საპნიანი მდუღარე წყალი მზად გვექნება და ვადუღებთ რამდენსამე წუთს, ისე მესამეში შეიძლება და მეოთხეში, თუ გადავაღებთ, კიდევ უკეთესი იქნება. როდესაც ძაფს კარგად გამოვხარშავთ, მერმე რიგიანად გავრეცხავთ იმისთანა წყალში, როგორიც საჭიროა ამოღებისა და გამოხარშვის დროს, ე. ი. მდინარის, წვიმის, თოვლის და ან დაწმენდილს წყალში.

პ. ქ—ა.

ამიერ კავკასიის რკინის გზა

მატარებლის ახალი მიმოსვლა 6 მაისიდგან.

თბილისიდგან—ბათომში მატარებელი № 1 გადის დილის 9 ს. 15 წ. მიდის ბათომში საღ. 8 ს. 48 წ.

თბილისიდგან—ბაქოში მატარებელი № 2 გადის ღამის 9 ს. 34 წ. მიდის ბაქოში 1 ს. 2 წ. დღის.

ბათომიდგან—თბილისში მატარებელი № 2 გადის დილის 7 ს. 45 წ. მოდის თბილისში საღამოს 8 ს. 34 წ,

ბაქოდგან—თბილისში მატარებელი № 1 გამოდის დღისით 4 ს. 1 წ. მოდის თბილისში 8 ს. 30 წ. დილ.

თბილისიდგან—ბათომში მატარებელი № 3 გადის საღამოს 8 ს. 45 წ. მიდის ბათომში დილის 8 ს. 45 წ.

ბაქოდგან—თბილისში მატარებელი № 3 გამოდის ღამის 12 ს. 20 წ. მოდის თბილისში საღ. 7 ს. 10 წ.

ბათომიდგან—თბილისში მატარებელი № 4 გამოდის საღამოს 8 ს. 35 წ., მოდის თბილისში დილ. 9 ს.11 წ.

თბილისიდგან—ბაქოში მატარებელი № 4 გადის დღისით 11 საათ. მიდის ბაქოში დილით 6 ს.

---

*) სხვა სახელმწიფოებში სცადეს აბრეშუმის ჭიების სხვა ფოთლებით რჩენა და ყველაზედ მეტი სჭამეს „სკორზონერის“ (ჩირგვიეთ მცენარეა) ფოთლები, მაგრამ ბჟოლისთანა სასარგებლო აბრეშუმისათვის არაფერი არ გამოდგა.

*) თაგვებაა რომ პარკებს ვერ მიეკარონ ამისთვის, სხვათა შორის, შემდეგი საშუალება შეგვიძლია ვიხმაროთ: რაზედაც პარკებია დაყრილი, იმათ ფეხებს ქეშტი (თუნუქი) შემოვაკრათ ან ცარცი წავუსვათ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Іюля 1897 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21.
რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია